


„მასწავლებლობის მაძიებლის“ სტატუსის მქონე პედაგოგების, შეფასების შედეგების ასახვის ინსტრუქცია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool).


„მასწავლებლობის მაძიებლის“ კურსის ფარგლებში მაძიებელი პედაგოგების შეფასებას უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი.

მაძიებელი პედაგოგების მიერ, პროფესიულ საქალაქში გამოქვეყნებული სავალდებულო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნახვისა და შეფასებების შედეგების ასახვის მიზნით, შეასრულეთ მოქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ნავიგაციის პანელიდან აირჩიეთ პუნქტი „მასწავლებლის შეფასება“;



2. სპეციალური ჩამოსაშლელი ველიდან აირჩიეთ პედაგოგი, რომლის შემთხვევაშიც გსურთ პროფესიულ საქალაქში გამოქვეყნებული დოკუმენტის ნახვა;



პედაგოგის არჩევისთანავე, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს გამოუჩნდება ის სავალდებულო აქტივობები, რომელიც შეფასების დაგროვების გეგმიდან შერჩეული იქნა კონკრეტული პედაგოგის მიერ.

#	აქტივობა	მიღებული შეფასება	დოკუმენტი
1	კლასკარგე აქტივობების გეგმა	დადებითი	
2	სამომუდლო გეგმის ანგარიში	დადებითი	
3	კურსის რეფლექსია		
4	სამომუდლო გეგმის ანგარიში	უარყოფითი	

3. მონიშნეთ ჩამონათვალში არსებული კონკრეტული აქტივობა, რომლის შემთხვევაშიც გსურთ პედაგოგის მიერ გამოქვეყნებული, განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნახვა და დააჭირეთ ღილაკ „გადმოწერა“;

#	აქტივობა	მიღებული შეფასება	დოკუმენტი
1	კლასკარგე აქტივობების გეგმა	დადებითი	eschool_test.pdf
2	სამომუდლო გეგმის ანგარიში	დადებითი	
3	კურსის რეფლექსია		
4	სამომუდლო გეგმის ანგარიში	უარყოფითი	

გაითვალისწინეთ : ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორსა და ტუტორს პროფესიულ საქადალდეში განთავსებულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგმა უზრუნველყო მისი გამოქვეყნება.


შეფასების შედეგების ასახვა სისტემაში

შეფასების სისტემაში უზრუნველსაყოფად შეასრულეთ მოქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მონიშნეთ ჩამონათვალში არსებული კონკრეტული აქტივობა, რომლის შემთხვევაშიც გსურთ შეფასების შედეგის, ასახვა და დააჭირეთ ინსტრუმენტების პანელზე არსებულ ღილაკს „ შეფასება“;

აქტივობა		
#	აქტივობა	მიღებული შეფასება
1	კლასიკარულ აქტივობების გეგმა	დადებითი
2	გაკვეთილის გეგმა	
3	სამოქმედო გეგმის ანგარიში	დადებითი
4	კურსის რეფლექსია	
5	სამოქმედო გეგმის ანგარიში	უარყოფითი

2. გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში, მიუთითეთ შეფასების შედეგი და დააჭირეთ ღილაკ „შენახვა“




გაითვალისწინეთ: აქტივობების შეფასების რედაქტირების შესაძლებლობა გაქვთ მხოლოდ მასწავლებლობის მაძიებლის კურსის შეფასებამდე.

მასწავლებლობის მაძიებლობის კურსის შეფასება


მაძიებელი პედაგოგების სავალდებულოდ შესასრულებელი აქტივობების შეფასების გარდა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ანხორციელებს „ მასწავლებლობის მაძიებლობის კურსის შეფასებას“.

„ მასწავლებლობის მაძიებლობის კურსის შეფასებას“ უზრუნველსაყოფად შეასარულეთ მოქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ინსტრუმენტების პანელიდან აირჩიეთ „ მასწავლებლობის მაძიებლობის კურსის შეფასება“;




2. „მასწავლებლობის მამბელობის კურსის შეფასება“ მიზნით დააწეეთ ღილაკ „შეფასებას“;




გაითვალისწინეთ: „მასწავლებლობის მამბელობის კურსის შეფასება“ არ იქნება აქტიური იმ მომენტამდე სანამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი არ უზრუნველყოფს, მამბებელი პედაგოგის შემთხვევაში ყველა სავალდებულო აქტივობების შეფასებას.

3. გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში, მიუთითეთ შეფასების შედეგი და შეიტანეთ დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და თარიღი, „ღილაკ გადამოწმებაზე დაჭერით დიალოგურ ფანჯარაში ავტომატურად მიეთითება დოკუმენტის თემა და ავტორი. აღნიშნულის მითითების შემდგომ დააწეეთ ღილაკ „შენახვა“;



გაითვალისწინეთ: კერძო სკოლების შემთხვევაში იტვირთება მხოლოდ დასკანერებული დოკუმენტი.

4. „მასწავლებლობის მამბელობის კურსის შეფასება“ რედაქტირების შემთხვევაში შესაძლებელია კურსის შეფასების წაშლა და განმეორებით შეფასება;



შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს სურს, აქტივობის შეფასების შეცვლა აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განახორციელოს „ მასწავლებლობის მამბულობის კურსის შეფასება“ გაუქმება.